CONCEPT ART

ვის ფანჯრებთან დაუკრა 12 თებერვალს ბექა გოჩიაშვილმა?

„კონცეპტArt“-ის პროექტს „მუსიკა შენს ფანჯრებთან“, რომელიც მაყურებელმა ყველაზე თბილი გამოხმაურებით დააჯილდოვა, 12 თებერვალს „აქსის თაუერსმა“ უმასპინძლა,

მონატრებული მსმენელის ფანჯრებთან აქსის თაუერსის ტერასაზე, ბექა გოჩიაშვილმა ნიკოლოზ რაჭველთან, ლევან დეისაძესთან და ზაზა ცერცვაძესთან ერთად დაუკრა. სოლისტები: ნატალია ქუთათელაძე და მარიამ ჯანჯღავა (Janngo). ერთ-ერთ კომპოზიციაზე ქორეოგაფიული ნომერი თინათინ წულაძემ და ბაჩანა ჭანტურიამ შეასრულეს. საღამოს ბახვა ბრეგვაძე უძღვებოდა.

თუკი შენ ვერ მიდიხარ კონცერტზე, კონცერტი მოვა შენთან - ასეთია საავტორო კონცეფცია, რომლის მიზანია შინ გამოკეტილ მოსახლეობას გაუზიაროს სიხარული, მოძრავი სცენით ეწვიოს საკუთარ ეზოში და გაუმართოს კონცერტი მათთვის ძვირფას არტისტებთან ერთად.

პროექტის ავტორი - თეონა ჯორბენაძე, მუსიკალური ხელმძღვანელი - ნიკოლოზ რაჭველი, დამდგმელი მხატვარი - ვანო ჭელიძე.

პროექტი თბილისის მერიის მხარდამჭერითა და პატრონაჟით ხორციელდება.

პროექტის მასპინძელია - აქსის თაუერსი, თანამედროვე თბილისის ახალი ლენდმარკი ჭავჭავაძის 37-ში.